ხელშეკრულება № 22

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 2020 წლის 17 აგვისტო

ერთის მხრივ შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ (ს/ნ 245626684) (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის ნოდარ კონცელიძის (პ/ნ 61002014850) სახით და მეორეს მხრივ შპს „იუ ეიჩ ვაი“ (ს/ნ 406026447) (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მმართველი პარტნიორის/დირექტორის თინათინ დავითაიას (პ/ნ 01031001185) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და შპს „იუ ეიჩ ვაი“-ს სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (NAT200010564) შედეგად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფასების ცხრილი“ - შესასყიდი მომსახურებების ღირებულებები, რომელიც დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.8 „ტექნიკური დავალება“ - მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „დანართი 1“, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების (შემდგომში - ფინანსური ანგარიშგება) აუდიტი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის. აუდიტის ანგარიშის მიწოდება მოხდება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

2.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის 21 იანვრის N01-01-10/191 წერილით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2018 წლის 6 თებერვლის N01-01-3/55 ბრძანებით დამტკიცებული დანართების მომზადება აუდირებული ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე.

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და აღწერა მოცემულია დანართი 1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.4 კლასიფიკატორი კოდი: CVP – 79200000, 79210000.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედების ვადა გრძელდება 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 21 240 (ოცდაერთი ათას ორას ორმოცი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. მომსახურების მოწოდების ადგილი და ვადა

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილი მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. 1, ბ. 4-7, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“.

5.2 მომსახურების მიწოდების ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღე. იმ პირობით, რომ მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია იქნება სრულად მოწოდებული ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 30 კალენდარულ დღეში.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1, 2.2 და 2.3 პუნქტში მითითებული მომსახურება ჯეროვნად და სრულყოფილად.

6.2 თუკი ხელშეკრულების 2.1, 2.2 და 2.3 პუნქტით გათვალისიწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად გამოასწოროს ეს ნაკლი. ნაკლად არ მიიჩნევა ისეთი ვითარება, როდესაც მომსახურება შესრულებულია ობიექტურად, კეთილსინდისიერად, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით, მაგრამ მიმწოდებელს და შემსყიდველს შორის წარმოიქმნება აზრთა სხვადასხვაობა რომელიმე საკითხზე. ასეთ შემთხვევაში მიმწოდებლის მხრიდან გამოირიცხება ისეთი ქმედებები, რომლებმაც შეიძლება კომპრომენტირება გაუწიონ აუდიტორის პროფესიულ სტანდარტებს.

6.3 შემსყიდველი კომპანიის მენეჯმენტი პასუხს აგებს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენილი ინფორმაცის უტყუარობაზე. ასევე კომპანიის საქმიანობის შესაბამისი კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების განსაზღვრასა და მათი შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამოვლენასა და აღკვეთაზე, დასაბუთებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებაზე, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლის სტრუქტურის დანერგვასა და უზრუნველყოფაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის მოსაზრებით, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების შედგენისათვის, რომელიც არ შეიცავს არსებით დარღვევებს შეცდომებისა და არაკეთილსინდისიერი ქმედებებიდან გამომდინარე.

6.4 შემსყიდველი პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი შეცდომის შესწორებაზე, აგრეთვე ჩვენი მისამართით გამოგზავნილ წარმომადგენლობით წერილში იმის დადასტურებაზე, რომ ხელშეკრულების მიხედვით მომსახურების გაწევისას გამოვლენილი საანგარიშო პერიოდის შეცდომები, რომლების არ იქნა აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც ცალ-ცალკე, ასევე მთლიანობაში, არ არის არსებითი ფინანსური ანგარიშგებისათვის.

6.5 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.6 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების მიწოდების შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.7 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7. ანგარიშწორების ფორმა და წესი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

7.2 წინასწარი ანგარიშწორება არ გამოიყენება.

7.3 მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება ერთჯერადად, მიმწოდებლის მიერ მომსახურების განხორციელების და ხელშეკრულების მე-12 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1 შემსყიდველი ახორციელებს ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

8.2 ზედამხედველობას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თამარ ჩხიკვაძე - მთავარი ბუღალტერი და სატენდერო კომისიის წევრი.

9. კონფიდენციალურობა

9.1 შემსყიდველი ვალდებულია არ გადასცეს მესამე პირს მომსახურების პროდუქტი ნებისმიერი შეთანხმებული საშუალებების, შინაარსის, ან მისი პრეზენტაციის ფორმის დამახინჯების გზით. შემსყიდველმა არ უნდა განახორციელოს მიმწოდებლის ლოგოს რეპროდუქცირება და სახელის მოხსენიება მისი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია საკუთარ იურისტებსა და სხვა პროფესიონალ კონსულტანტებს სრულად (მთლიანობის დარღვევის გარეშე) გაუმჟღავნოს მომსახურების შედეგები ამავე მომსახურებასთან დაკავშირებით კონსულტაციის მიღების მიზნით, იმ პირობით, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი იქნებიან გაფრთხილებულნი იმის შესახებ, რომ მათ არ აქვთ უფლება მიმწოდებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაცია (იმ შემთხვევის გარდა როდესაც ასეთი ინფორმაცია გამოიყენება მათი საკუთარი შიდა მიზნებისთვის). მიმწოდებელს არ აკისრია რაიმე სახის ვალდებულება და არ არის პასუხისმგებელი მათ წინაშე შემსყიდველისთვის გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

9.3 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გაუმჟღავნოს მესამე პირებს და/ან გამოაქვეყნოს ინფორმაცია და/ან ნება დართოს რაიმე სახის ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, რომელიც: ერთ-ერთი მხარის მიერ მიწოდებული იქნა მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით; ერთ-ერთი მხარის მიერ მიწოდებული იქნა მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებით; ერთ-ერთი მხარისათვის ცნობილი გახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შედეგად; ან კანონიერი გზით იქნა შემუშავებული ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში.

9.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია გაუმჟღავნოს ინფორმაცია საკუთარ დამზღვევებს, იურიდიულ და სხვა სახის კონსულტანტებს და იუ ეიჩ ვაი-ს პირებს, იმ პირობით, რომ მათზე გავრცელდება იგივე ვალდებულებები კონფიდენციალურობის თვალსაზრისით, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე პირობებით.

9.5 მიმწოდებელი უფლებამოსილია გაუმჟღავნოს სამუშაო მასალები ან სხვა ინფორმაცია იუ ეიჩ ვაი-ის პირებს იმ ზომით, რაც საჭიროა მომსახურების გაწევისათვის ან/და სტატისტიკური მონაცემების გაცვლის გამარტივებისათვის იუ ეიჩ ვაი-ის პირებს შორის, ხარისხის შემოწმებისა ან შესაბამისობის პროცედურების განხორციელებისთვის, ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის, კლიენტის აყვანისა და გარიგებაზე დათანხმების პროცედურების კოორდინირებისათვის, ასევე დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის შემოწმებისთვის, იმ პირობით, რომ ამ ინფორმაციაზე გავრცელდება კონფიდენციალურობის დაცვის იგივე გარანტიები, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე

პუნქტებით.

9.6 მიმწოდებელი უფლებამოსილია მიუთითოს შემსყიდველის სახელწოდება ან ლოგო მარკეტინგულ და სარეკლამო მასალებში მისი უფასოდ გამოყენების გზით და აღნიშნოს ამგვარი მომსახურებების საერთო ხასიათი, მოცულობა და სახეობა, მათ შორის მესამე პირების სატენდერო პროცედურებში იუ ეიჩ ვაი-ის და/ან იუ ეიჩ ვაი-ის წარმომადგენლების გამოცდილების დადასტურების მიზნით.

10. ინტელექტუალური საკუთრების და საავტორო უფლებები

10.1 მიმწოდებელი იტოვებს ექსკლუზიურ საავტორო და ყველა სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებას მომსახურების შედეგზე, აგრეთვე საკუთრების უფლებას ჩვენს სამუშაო დოკუმენტაციაზე. შემსყიდველი შეიძენს საკუთრების უფლებას მატერიალური ფორმით მომსახურების ანაზღაურებით.

11. ინფორმაცია

11.1 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, ოპერატიულად წარმოადგინოს აუცილებელი ინფორმაცია, გასწიოს ყოველმხრივი დახმარება და მისცეს მიმწოდებელს სრული დაშვება იმ დოკუმენტებთან, რომლებსაც ის განკარგავს, ინახავს ან აკონტროლებს. შემსყიდველმა უნდა მიმართოს მაქსიმალურ ძალისხმევას მოთხოვნილი ინფორმაციის მისაღებად თუ ის მას არ განკარგავს, ინახავს ან აკონტროლებს. შემსყიდველმა მიმწოდებელს უნდა წარუდგინოს ნებისმიერი ინფორმაცია და შეგვატყობინოთს ნებისმიერი მოვლენის შესახებ, რომელიც შესაძლებელია მისთვის ცნობილი გახდეს და რომელსაც შეიძლება შეხება ქონდეს მომსახურებასთან.

11.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია გადაიღოს მიმწოდებლის დოკუმენტების ასლები, როდესაც ეს აუცილებელია მომსახურების გაწევისათვის და შეინახოს ეს ასლები, თუ ეს გონივრულად საჭიროა სამუშაოს შესრულების ფაქტის დასადასტურებლად ან/და მიღწეული დასკვნების გასამყარებლად ან იმ შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული სტანდარტებითა და ინსტრუქციებით.

11.3 მიმწოდებელს შეუძლია დაეყრდნოს ნებისმიერ ინსტრუქციას, მოთხოვნას, შეტყობინებას ან მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც მიღებულ იქნება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, ნებისმიერი პირისგან, რომელიც წარმოადგენს ან მიმწოდებელს გონივრულ ფარგლებში სჯჯერა, რომ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან აწარმოოს ამგვარი კომუნიკაცია ხელსეკრულების მიზნებისათვის.

11.4 მომსახურების გაწევის პროცესში მიმწოდებელი უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია მიმწოდებლისგან ან სხვა წყაროებისგან კანონით დაშვებულ ფარგლებში. მიმწოდებელი პასუხს არ აგებს ნებისმიერი ზარალის ან დანაკლისისათვის, რომელიც შემსყიდველს მიადგება თაღლითობის, ინფორმაციის დამახინჯების, ინფორმაციის დაფარვის შედეგად, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მომსახურებისთვის; ან ამგვარ არსებით ინფორმაციასთან დაკავშირებით შემსყიდველის ან ინფორმაციის სხვა წყაროების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად.

12. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

12.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი დოკუმენტაცია და მხარეები ხელს მოაწერენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

12.2 შემსყიდველის მხრიდან გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა ნებისმიერი ფაქტობრივი ზიანისათვის, შეზღუდული იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხით. მიმწოდებელს ასევე არ ეკისრება მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულება.

13.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ შესრულება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.3 13.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფასური იუ ეიჩ ვაი-ს მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა

14.1 ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.05% ოდენობით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მხარეები იტოვებენ უფლებას შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოითხოვონ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებთ მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

14.4 მიმწოდებელი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს მომსახურების შედეგები იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მას შემდეგ, რაც აღნიშნული შედეგები წარმოდგენილი იქნა საბოლოო ფორმით.

14.5 ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით შემსყიდველი ადასტურებს, რომ ინარჩუნებს პასუხისმგებლობას იმის შერჩევაზე თუ რა დონით სურთ დაეყრდნოს ან განახორციელოს მიწოდებული საბოლოო ანგარიში; ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაზე, რაც გავლენას ახდენს მომსახურებებზე, ნებისმიერ საბოლოო ანგარიშზე, მის ინტერესებზე ან ნებისმიერ ქმედებაზე, რომელსაც იგი იღებს საბოლოო ანგარიშის საფუძველზე;

15. ფორს-მაჟორი

15.1 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისთვის თუკი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისთვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელიც სცილდება გონივრული კონტროლის შესაძლებლობას და რომელთა გათვალისწინება გონივრულ ფარგლებში შეუძლებელი იყო და რომელთა არსებობის გამო მხარისთვის ობიექტურად შეუძლებელი ხდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, სახელწიფო გადატრიალება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება და სხვ.)

16. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

16.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება მხარეთათვის ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების

დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი რაოდენობით.

16.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

16.5 ხელშეკრულების 16.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

17. დავების გადაჭრის წესი

17.1 ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

18. სხვა პირობები

18.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს ამ ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18.4 ხელშეკრულება, მასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

18.5 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

19. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“	შპს „იუ ეიჩ ვაი“
ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. 1, ბ. 4-7	ქ. თბილისი, კ. გამსახურდიას ქ. 41
საიდ. კოდი 245626684	საიდ. კოდი 406026447
სს „ტერა ბანკი“	სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი TEBAGE22	ბანკის კოდი TBCBGE22
GE98KS0000000340800017	GE52TB7728136080100001
დირექტორი ნოდარ კონცელიძე	დირექტორი თინათინ დავითაია

Nodar Kontselidze

Подписано цифровой подписью: Nodar Kontselidze
Дата: 2020.08.17 17:12:41 +04'00'

დანართი 1

მოცემული „დანართი 1“ წარმოადგენს დამატებით პირობებს, რომლებზეც მიუთითებს ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, ავსებს მას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1. ტექნიკური დავალება

მიმწოდებელი ჩაატარებს შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების (შემდგომში - ფინანსური ანგარიშგება) აუდიტს 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის.

2. სამუშაოთა მოცულობა

2.1 მიმწოდებელი ჩაატარებს აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) მიხედვით იმ მიზნით, რომ გამოთქვას მოსაზრება, წარდგენილია თუ არა ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით და რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადები 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს). აღნიშნული მოიცავს:

- საწარმოს ბალანსის აუდიტი;
- მოგება-ზარალის უწყისის აუდიტი;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი;
- საწარმოს კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების აუდიტი;
- ძირითადი საშუალებების და მასთან დაკავშირებული ოპერაციების აუდიტი;
- ბიუჯეტთან ანგარიშწორების აუდიტი;
- გადასახადებისა და მოსაკრებლების დარიცხვის სისწორისა და დროულად გადახდის, გადასახადების აღრიცხვისა და დეკლარირების სისწორის და შესაბამისობის დადგენა საგადასახადო კანონმდებლობასთან მიმართებაში;
- სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა აუდიტი (გამოუსადეგარი, დაზიანებული, მწყობრიდან საბოლოოდ გამოსული, ჩამოსაწერი ქონების გამიჯვნა და მათი სასაქონლო მატერიალურ საშუალებათა რეესტრში ასახვა, მისცეს შემსყიდველს საქონლის თითოეულ სახეობაზე ჩამოწერისათვის საჭირო რეკომენდაციები.
- არსებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების მოკვლევა და სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით დაჯგუფება;

- აუდიტის პროცესში აქტივების დანაკლისის ან/და ზედმეტობის გამოვლენის შემთხვევაში, მათი ბუღალტრული ასახვისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემა;

სამუშაოთა მოცულობა ასევე მოიცავს:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის 21 იანვრის N01-01-10/191 წერილით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2018 წლის 6 თებერვლის N01-01-3/55 ბრძანებით დამტკიცებული დანართების მომზადება, აუდირებული ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე.

- 2019 წელს ელექტრონული შესყიდვის საშუალებების და გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული შესყიდვების მიმოხილვა და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა;

- უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 2019 წლის ფინანსური ანგარიშების გასწორება 2020 წლის 1 იანვრისთვის არსებული საწყისი ნაშთების გათვალისწინებით. 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაზე მაკიორექტირებელი გატარებების მოწოდების უზრუნველყოფა, ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში

- შემსყიდველი ვალდებულია შემოწმების ობიექტის წარმოამადგენლობაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს აუდიტის წარმოების პროცესში მისცეს რეკომენდაციები და გაასწორებინოს ფინანსური ანგარიშები, ხოლო დასრულების შემდეგ გააცნოს და ჩააბაროს აუდიტორული დასკვნა.

2.2 2020 წლის სამეურნეო წლის განმავლობაში შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს საწესდებო კაპიტალში მოსალოდნელი წინასწარ დაუგეგმავი ცვლილებების თაობაზე დამგარი აუცილებლოიდან გამომდინარე, შესაბამისი აუდიტორული დასკვნების მომზადება;

2.3 ქ. ქობულეთში, სოფელ ცეცხლაურში ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლი კომპანიის შპს „ გოგშინ ინშაათ გიდა ტურიზმ მილიშიმ თუქეთიმ მალლარი ფაზარლამა მადენჯილიქ ვე ფროჟე მუშავილიჰ ჰიზმეთლერი სანაი თიჯარეთ“-ის საქართველოს ფილიალთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დამკვეთის საბუღალტრო (ფინანსური) აღრიცხვის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;

2.4 EBRD-ის მოთხოვნების შესაბამისად, კონსულტანტი წარმოადგენს განმარტებებს მის მიერ მოწოდებულ ანგარიშებთან დაკავშირებით.

დანართი 3

ფასების ცხრილი

N	**შესყიდვის საგანი**	**საერთო ღირებულება**	**მომსახურების გაწევის ვადა**	**მიწოდების ადგილი**
1	1.შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის აუდიტორული შეფასება/მომსახურება	21 240 ლარი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 60კალენდარული დღე	ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. 1 ბ. 1-4
2	**21 240 (ოცდაერთი ათას ორასორმოცი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით**			

შემსყიდველი / შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“

მიმწოდებელი/ შპს „იუ ეიჩ ვაი“

_____

_____

დირექტორი / ნოდარ კონცელიძე

მმართველი პარტნიორი / თინათინ დავითაია